№ 261 მთავრობის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. — ოთხშაბათი, ნოემბრის 17 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81.

კანტორისაგან

გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის"

კანტორა

უკანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მომწერ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოესპობათ თუ აღნიშნულ დრომდე ფული არ შემოიტანეს.

სახელმწ. თეატრი.

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს

„ევგენი ონეგინი"

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს

„კოტე და ქეთო"

პარასკევს, 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე

„ლალატი"

შაბათს, 20 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

„რუსალკა".

კვირას, 21 ნოემბერს მორდკინის ბალეტი

„კოპელია"

ორშაბათს, 22 ნოემბერს **„ლალატი"** მეორეთ

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

დღეს, სამშაბათს, ნოემბრის 16-ს

მსხვერპლი

ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

შაბათს, ნოემბრის 20-ს

უბედნიერესი მეფენი

ალ. შანშიაშვილისა.

971 1—1 რეჟისორი მკ. ფაღავა.

კავკასია-თურქესტანის საპაიო ამხანაგობა „ზ. ა. ჯორჯაძე და ძმ. აგრიევები"

გამგეობა იწვევს ამხანაგობის წევრთ საგანგებო საზოგადო ყრილობაზე დასასწრებლად,

რომელიც მოხდება 1920 წელს დეკემბრის 10-ს დღის 12 საათზე ქალ. ტფილისში, სახლი № 14, რუსთაველის პროსპექტზე.

განსახილველია საგნები:

1. მოხსენება საქმეების მდგომარეობის შესახებ.
2. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩეულ დირექტორ—გამგებლის დამტკიცება.
4. დანარჩენი მიმდინარე საკითხები, რომელიც შეეხება ამხანაგობის საქმეთა განვითარებას და წარმატებას.

3710 1—1

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

ამით აცხადებს,

რომ 20 ამა ნოემბერს დანიშნული საზოგადო რწმუნებულთა ყრილობა

გადადებულია

რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებით შემდეგ დროისათვის.

ზედამხედველი კომიტეტი.

987 2—1

საჯარო ვაჭრობა

8.000 ვედრო ვარციხის მამულის ძველ ღვინოზედ დანიშნული არის 25 ნოემბერს 12 საათზე.

მთავრობის შენობაში სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში.

3708 2—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 40.

თავისუფლდება: თანამდებობიდან საქართველოს სენატის მდივნის თანაშემწე ვლადიმერ ბესარიონის ძე ცაგურია ბორჯომის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად დანიშვნის გამო 1920 წ. ნოემბრის 10 დან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე
დ. ხელთუფლიშვილი.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან.

ცირკულიარულად:

საჯარო ანგარიშ ვალდებულ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათ.

1920 წლის აპრილის 21-ს თარიღით ცირკულიარის ნაცვლად, გაუწყებთ, რომ მიმდინარე წლის ნოემბრიდან გამოვა „ეკონომიური ცხოვრება".

ამისათვის ყველა საჯარო ანგარიშ-ვალდებულ დაწესებულებათ წინადადება ეძლევა, 473 მუხლის თანახმად, (ტ. 5 კან. კრებ. 1903 წ. გამოც. და გაგრძ. 1906, 1908, 1909, 1910 წ. წ.) მოათავსონ მასში თავისი თვიური, ექვსი თვიური და წლიური ბალანსები და აგრეთვე ანგარიშები, საზოგადო კრების საჯარო განცხადებანი და სხვა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინ. მოვალ. აღმ. **ხ. ავალიანი.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

7 სექტემბერი, 1920 წ., № 47.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე კარდაველიძე ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირით ზესტაფონში, მანეფა ჯაფარიძე VI ხარ. მოხელეთ ონში, მთავარი ნიკოლოზ ყანდარელი კანცელარიის მოხელეთ სამმართველოში, ყოფილი მოხელე გიორგი ხაბაზიშვილი III ხარ. მოხელეთ ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ყოფილი ფოსტალიონი შალვა კახიძე II კატ. ფოსტალიონათ ართვინში. ხაბაზიშვილი და კახიძე 11 სექტემბრიდან, ბარდაველიძე 7 სექტემბრიდან, ჯაფარიძე და ყანდარელი 16 სექტემბრიდან.

დანიშნულნი არიან: ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილების V ხარ. მოხელე ვასილ გძელიძე IV ხარ. მოხელეთ ამავე განყოფილებაში, ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით სოხუმის კანტორისა იოსებ ბაზიერაშვილი მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებლად ამავე კანტორაში, მეორე კატეგორიის ფოსტალიონი ლაგოდეხის კანტორის დავით ბალავაძე პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ ამავე კანტორაში, III ხარ. მოხელე გორის კანტორისა კარაპეტ დერზიბაშევი IV კლასის უფროსის თანაშემწეთ ქიათურაში. ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის ქსელისა რომან თოდრია მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებლად ამავე ქსელზე. V ხარ. მოხელე ბათომის კანტორისა მიხეილ ბახჩიევი VI ხარისხის მოხელეთ არტაანში, 6 ხარ. მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა იოსებ მუმლაძე, სურამისა ფარსადან-ვასილი მლებრიანცი V ხარ. მოხელეებათ იმავე კანტორებში; ბალავაძე 1 აგვისტოდან, ბაზიერაშვილი, თოდრია, მუმლაძე 1 სექტემბრიდან, ბახჩიევი 6 სექტემბრიდან, დერზიბაშოვი, გძელიძე და მლებრიანცი 16 სექტემბრიდან.

გადაყვანილნი არიან: მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებელი—მიხეილ პაშკოვსკი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა, და სამტრედიის ზედამხედველი იასონ ჩარქვიანი, ზედამხედველი დაბალი ჯამაგირით: წყნისა ვიქტორ ალექსანდრია, ტფილისის ტელეგრაფისა პეტრე გიუნაშვილი და მოხელენი: ტფილისის ტელეგრაფისა პეტრე ასლანიანცი, ბათომისა პროკოპი კილაძე და ალავერდის ფოსტალიონი სიმონ ქურციკიძე ამავე წოდებით: გიუნაშვილი გორში, ალექსანდრია თელავში, ასლანიანცი ბათომში, კილაძე ქუთაისში, ჩარკვიანი ბათომის ტელეფონის ქსელზე, კურციკიძე ლაილაშში, პაშკოვსკი ზედამხედველათ მაღალი ჯამაგირით გორში. ალექსანდრია 8 სექტემბრიდან, ქურციკიძე 11 სექტემბრიდან, დანარჩენნი ხუთნი 7 სექტემბრიდან.

დათხოვნილნი არიან: მოხელენი ტფილისის რკინის გზის განყოფილების თამარ კალაშნიკოვი, V ხარ. ქიათურის კანტორისა იოსებ გურგენიძე, VI ხარ. ფოთისა მარიამ ტოგონიძე, ენისელისა ნინო ბარნაბიშვილი; ფოსტალიონეში ახალციხისა ივანე უსოვი, არტაანისა ანემპოდისტ პატარაია; ტოგონიძე ფოთში წასვლაზე უარისთვის 6 აგვისტოდან, ბარნაბიშვილი თანახმად თხოვნისა 16 აგვისტოდან, გურგენიძე 16 სექტემბრიდან, უსოვი 6 სექტემბრიდან.

გამორიცხულია სიებიდან: მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე შტაუბერგი მანტიორად დანიშვნისა გამო ქუთაისის ტელეფონის ქსელზე 10 სექტემბრიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

15 ნოემბერი, 1920 წ., № 461.

ინიშნება: სახელმწიფო კანტროლის რევიზორად ანტონ გიორგის ძე ჯუმუხაძე ა. წ. 15 ნოემბრიდან.

№ 462.

ინიშნება: სახელმწიფო კანტროლის რევიზორის თანამდებობაზე ალექსანდრე ნიკიფორის ძე ქანიშვილი ა. წ. 17 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი
კ. ანდრონიკაშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება.

მდგომარეობა სომხეთში

სამხედრო ცნობა.

სომხეთის მთავარ სარდლის ცნობით ჯაჯურის მიმართულებით ნოემბრის 13-ს საღამოთი მტერმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს სოკანახ-კრანის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩვენი ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევს. სოფ. პატარა კაშატაკში ნოემბ. 13 ხელთ ვიგდეთ ორი ოსმალო მხედარი ოსმალეთის მე-9 დივიზიის შტაბიდან. სოგუთლინის მიმართულებით ნოემბ. 13-ს დილის 11 საათზე ჩვენ ქვეითა ჯარის ხუთი ბატალიონით შეტევა დავიწყეთ სოფ. ხარუმ კადატარუ, ხარუმ შარლის მოწინავე ნაწილებზე. ნოემბ. 13 ჩვენ გამოვდენეთ მტრის მზვერავები სოფ. კირიხინთან.

გაგზავნილმა ჩვენმა მზვერავებმა სოფ. ხარუმში მტერი ვერ აღმოაჩინეს.

არაკსის ნაპირას მარქანის ხიდის რაიონში ნოემბ. 14 გათენებისას მტერი ტყვიისმფრქველებიდან და თოფებიდან ესროდა ჩვენს პოზიციებს რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა. ნოემბ. 14-ს გათენებისას შარურში ბრძოლა იყო.

ბახარ-გეჩარში ნოემბრის 12. ზოდის გადასავალზე ჩვენ მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ მოსტარის ქვეითა და ცხენოსან პარტიზანების რაზმთან. 6 საათის ბრძოლის შემდეგ თათრები დიდი დანაკლისით უკუ ვაგდეთ სოფ. დემურ-ჩამჩტისაკენ.

ჯაჯურის მიმართულებით ნოემ. 14 მტრის ძლიერი ძალების შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს ჯაჯურის გადასავალი და ნოემ. 14 საღამოთი სოფ. ამამლისაკენ დაიხიეს.

შარურის მიმართულებით ნოემბ. 14, ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა შეუტია ნაწილობრივ სოფ. კუში-დემურჩის, ორტულუს და ტაზეკენდს. ჩვენ რაზმს უნდოდა გამოერკვია მტრის ძალა და ის თუ სად იყო იგი დაბანაკებული. ბრძოლის დროს მტერმა შესძლო სოფ. ორულუ-ტაზაკენტთან აეფეთქებინა ჩვენი ჯავშნიან მატარებლის უკან რკინის გზის ხიდი. დროებ. მოსულ ქვეითა ნაწილების დახმარებით მტერი გამოვრეკეთ სოფ. ორულ-ტაზეკენტიდან და ამგვარად ჯავშნიან მატარებელს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა ჩვენი პოზიციების ხაზს.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

მოლაპარაკება ჩინეთთან.

საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა ჩინეთის მთავრობას გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც სწერს, რომ საბოლოო დახმარების შემდეგ, რომელიც სემიონოვის ავაზაკთა ბრბოებმა იგემეს თეთრგვარდიელთა ზოგიერთ რაზმებმა დაიწყეს დახვევა ჩინეთის საზღვრებისაკენ და გადავიდენ მანჯურიაში, სადაც ისინი შეუერთდენ ადგილობრივ ისეთ ელემენტებს, რომლებიც ჩინეთის რესპუბლიკასთან მტრულად არიან განწყობილნი. ურგეში მყოფ ჩინეთის ჯარებს არ შეუძლიათ თავისი ძალით მოსპონ თეთრგვარდიელთა ბრბოები, ამიტომ მათ თხოვნით მიმართეს ჩვენ სამხედრო სარდლობას აღმოეჩინა მათთვის დახმარება ამ ავაზაკებთან ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ საერთო ინტერესები ამ ბანდების სასწრაფო მოსპობას მოითხოვს და ამიტომ იგი მზათ არის გაუწიოს დახმარება ჩინეთის ჯარებს. საბჭოთა მთავრობა ირწმუნება, რომ მისი ჯარები, რომლებიც მანჯურიაში შედიან, როგორც ჩინეთის მეგობრები და თავისი მიზნის შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვებენ ჩინეთის ტერიტორიას.

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ დებსკიმ განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან ორი თვე გრძელდებაო. საბოლოო ზავის პირობები წინასწარ ზავის პირობებისაგან ბევრათ არ განსხვავდება.

საფრანგეთის მემალარიოეთა გაფიცვების წინ

საფრანგეთის მაღაროების პატრონებმა მემაღაროებთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს. იმედი კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულებისა არაა, და კვირისათვის გაფიცვის დაწყებას მოელიან.

რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში.

გლეხების მოძრაობა სიცილიაში მეტად გამწვავდა. გლეხებსა და პოლიციელების შორის შეტაკებანი ხდება.

საფრანგეთის პრესა ვრანგელის შესახებ.

საფრანგეთის ბურჟუაზია და პრესა ვრანგელის მდგომარეობას უიმედოთ სთვლის და მოითხოვს, რომ მთავრობამ აღარ გაუწიოს მას დახმარება. წითელი ჯარების გამარჯვება არწმუნებს საფრანგეთის პრესას, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდება რუსეთში შეიარაღებულ ძალით შეუძლებელია.

წითლების გამარჯვება.

უკანასკნელ კვირაში წითელმა ჯარმა სამხრეთის ფრონტზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა გმირმა წითელმა ჯარმა გასწმინდა ყირიმის გამაგრებული ყელი ვრანგელის ბანდებიდან და ახლა თვით ყირიმის სიმაგრის მიმართულებით მიემართება. რუსეთის თეთრგვარდიელთა რაზმები რომლებიც ყირიმის ნახევარ კუნძულზე დარჩენ, უნდა განადგურდენ. დიდმა გამარჯვებამ არ უნდა შეანელოს ჩვენი ენერგია. პირიქით, ჩვენი შეტევა ახლა უნდა გავაფართოვოთ.

სამხედრო ცნობა.

ლიტინის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი შეტევას კარგათ აწარმოებს. პროსკუროვის მიმართულებით 50 ვერსის გასწვრივ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. კამენეც პოდოლის მიმართულებით ნოვოუშიცას დაკავების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა მდინარე უშიცას მიაღწიეს. სიმფეროპოლის მიმართულებით თანახმად მიღებულ ცნობებისა ჩვენ ჯარებს სიმფეროპოლი აუღიათ. ფეოდოსიის მიმართულებით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ ენერგიულ შეტევას. სადგურ სეიკლების აღების დროს ჩვენ დიდ ძალი ნადავლი საკუთარ ხელში.

თანახმად დამატებითი ცნობებისა ყირიმის ნახევარ კუნძულზე ნოემბრის 14 ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა აიღო ფეოდოსია, სადაც ხელთ იგო დიდძალი სამხედრო ნადავლი. მოპირდაპირის ჯარებში სრული დეზორგანიზაცია არის გამეფებული და იხევს რა თავზარდაცემული სძარცვავს მცხოვრებლებს. დაუღალავი დევნა ვრანგელისა გრძელდება. თანახმად ჩვენ მხარეზე გადმოფრენილ ვრანგელის მფრინავის ცნობებისა, გენ. ვრანგელს ჯარი დაშლილად გამოუცხადებია, ამასთანავე ყოველ ჯარისკაცს უფლება ეძლევა დანებდეს წითელ ჯარს. ნოემბრის 13 მტრის უმაღლესი სარდლობა იმყოფებოდა სევასტოპოლში. მას განზრახვა ქონდა ყირიმიდან გასვლისა. ძვირფას ქონებას გემებზე ტვირთავენ,

ლოზუნგები.

წითელმა ჯარმა დაიკავა სიმფეროპოლი და ფეოდოსია. ვრანგელმა გაუშვა ბანდები და თვითონ კი გარბის. ვრანგელის დაღუპვის შემდეგ უნდა დაიღუპოს პეტლიურა და ბალახოვიჩი. ჩვენმა ჯარმა დაიკავა გული ყირიმისა სიმფეროპოლი. შორს აღარ არის ვრანგელის უკანასკნელი თავშესაფარი ნავთსადგური სევასტოპოლი და კერჩი.

ინგლისი არ არის ვრანგელის მხარეზე.

ინგლისური გაზეთები სწერენ, რომ შავზღვაში ინგლისის გემების ყოფნა სრულიად არ ნიშნავს, იმას, თითქოს ინგლისს ვრანგელის დახმარება სურდეს. ინგლისის საადმირალომ ხმელთა შუა ზღვის ფლოტის მთავარ სარდალს უბრძანა, რათა მან სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას.

ბალახოვიჩის მოძრაობა.

როგორც სჩანს ბალახოვიჩმა ხელი აიღო მინსკის აღებაზე და მთელი თავისი სამხედრო ძალები სამხრეთის მიმართულებით გადაიყვანა, იმ მიზნით, რომ უკრაინის ჯარს შეუერთდეს. ვინ არის ბალახოვიჩი? ყოფილ იუსტიციის მინისტრის კედრინის აზრით ბალახოვიჩი ავანტიურისტი არის. იუდენიჩის მიერ დაკავებულ ადგილებში ბალახოვიჩი სასტიკ ძალადობას სჩადიოდა, მაშინ იუდენიჩის მისი დატუსაღება უნდოდა.

აჯანყება მექსიკაში.

მექსიკაში ნავთსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მექსიკის კომუნისტები მუშებს საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

ბრძოლა იტალიაში.

იტალიის ბევრ ქალაქში შავ რაზმელთა და სოციალისტების შორის შეტაკებები ხდება. ქალაქ. ვერონეში საერთო გაფიცვა დაიწყო.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

მღელვარება იაპონიაში.

„იზვესტია“ იუწყება: თანახმად ტოკიოდან მოსულ ცნობებისა იაპონიის ზოგიერთ გარნიზონებში მღელვარება ხდებაო. ოსაკას რაიონში ჯარის-კაცების დასამშვიდებლად იარაღს მიმართეს.

საბჭოთა რუსეთი და ამერიკა.

თანახმად „დელი ტელეგრაფის“ ცნობისა ამერიკელებმა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინეს. კონსტანტინეპოლში მყოფმა ამერიკის საგარეო ვაჭრობის საზოგადოებამ ბოლშევიკებთან ნოვოროსიისკში ხელშეკრულება დასდეს ნავთის მიწოდების შესახებ.

ამერიკის მთავარი შტაბი ამუშავებს პროექტს ამერიკის არმიის 7 მილ. კაცამდე გადიდების შესახებ. ამიტომ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება არის მოსალოდნელი. ეს ცნობები ოფიციალურ წყაროებიდან გამომდინარეობენ.

ეკონომიური განადგურება.

მწერალმა უელსმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა საბჭოთა რუსეთიდან, პრესის წარმომადგენელებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი აზრით, რუსეთს ამ მოკლე ხანში სრული ეკონომიური განადგურება მოელისო.

მდგომარეობა ანატოლიაში.

ოსმალეთის პრესა იუწყება: ანატოლიიდან ჩამოსული ავტორიტეტული პიროვნება შემდეგს ცნობებს გზმომგზავცემს: ანატოლიაში პირველი სიცივეები დაიწყო. პროვინციებში პურის კრიზისია. ანგორის ვილაიეტში ამის გარდა ბინის კრიზისიც არის. ანგორის მთავრობას უკავია სასტუმროები, კერძო პირების დიდი ბინები, შკოლები და სხ. ქემალმა სამოქალაქო ადმინისტრაცია მოაწყო. ყოველ ოლქი სანჯაკათ გადაკეთდა. მათ განაგებს დივიზიების სარდლები აღჭურვილი განუსაზღვრელ უფლებებით. არა მუსულმანები გაიწვიეს იძულებით სამუშაოზე რკინის გზებზე. დიდი ეროვნული ყრილობა 2 ბანაკად გაიყო: ექსპრემისტებათ, რომლებიც მოითხოვენ ბოლშევიკებთან კავშირს და ზომიერებათ, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ არიან. ამ ორ ბანაკს შორის მტრული განწყობილებაა.

დეკეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ლიონის ცნობები

ვრანგელთან ბრძოლა.

წითელ არმიაში, რომელიც პერეკოპს უტევდა, შედიოდა 27 დივიზიამდე და ძლიერი არტილერია იმ დროს, როდესაც გენ. ვრანგელს მხოლოდ 3 დივიზია ყავდა, რომელიც გმირულად იბრძოდა და მტრის იერიშებს იგერიებდა. ნოემბრის 11, დაიწყო ყირიმის ევაკუაცია. ევაკუაცია საფრანგეთის სამხედრო გემების „ვალდეკ-რუსოს“ და „პროვანსის“ დ რუსეთის ნავების დახმარებით ხდება.

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

უნგრეთის ეროვნულმა ყრილობამ ტრიანონის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

50 წლის თავი.

ნიუ-იორკში ზეიმით გადაიხადეს საფრანგეთის 50 წლის თავი. გამართულ ბანკეტში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ვეტერანებმა და ამერიკის გამოჩენილმა პირებმა, რომლებმაც ღრმა თანაგრძნობა გამოსთქვეს საფრანგეთის მიმართ.

ერთა ლიგის საბჭო.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგა კვირას ჟენევაში. ლეონ ბურჟუამ წარმოადგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ფინანსიურ ეკონომიურ კომისიის შესახებ, რომლის შედგენა ჯერ კიდევ ბრიუსელში იყო გადაწყვეტილი. იაპონიის წარმომადგენელმა თავისუფალ ქალაქ დანციგის შესახებ მოხსენება წაიკითხა. ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა საბჭომ დროებით გადასდვა.

ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე.

იტალიის დელეგატებმა ჯოლიტმა, სფორცამ, ბონომმა და სამხრეთ სლავიის დელეგატებმა ვესნინმა, ტრუმბიჩმა და კოსტოიანოვიჩმა ხელი მოაწერეს ხუთი მუხლისაგან შემდგარ ხელშეკრულებას. პირველი მუხლი აწესებს საზღვრებს იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის; ეს საზღვარი იწყება პეკომუნეს მთიდან და გადის იტალიის ავსტრიისა და სამხრეთ სლავიის საზღვრებს შორის. მე-4 მუხლი ამყარებს ფიუმეს სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. იტალიის სასწავლებელთა დიპლომები სამხრეთ სლავიის მთავრობის მიერ აღიარებულია თანასწორათ სამხრეთ სლავიის სასწავლებელთა მიერ გაცემულ დიპლომებთან.

გერმანიის წინააღმდეგ.

(რადიო) საფრანგეთის პრესა იუწყება: ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ იმაში, რომ გერმანია არ დაუშვან ერთა ლიგის მიმდინარე სესიაში.

ხელშეკრულების მიღება.

დანუნციოს მთავრობამ, რომელიც ფიუმეში იმყოფება სავსებით მიიღო იტალიისა და სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელთა მიერ დადებული ხელშეკრულება.

გენ. ვრანგელი სევასტოპოლში მივიდა

გამორკვეულია, რომ წითელ არმიელების მიერ ფრონტის გარღვევის მიზეზი ყოფილა ვრანგელის ჯარში მომხდარი აჯანყებანი.

ფინანსთა სამინისტროში

პროექტი სახელმწიფო ხარჯი-აღრიცხვისა.

1920—21 წლის განმავლობაში საერთო ვარაუდით ხაზინაში უნდა შემოვიდეს 8 მილიარდი, 600 მილ. მანეთი. შემოსავლის თანხა უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: 1) სახელმწიფო მამულებიდან და კაპიტალიდან 4 მილიარდი მანეთი; 2) სახაზინო სესხის დაბრუნებიდან 2 მილიარდი ~~700~~ მილ. მან.; 3) არაპირდაპირ გადასახადებიდან $1^1/_2$ მილ. მან; 4) პირდაპირ გადასახადებისაგან—201 მილ. მან; 5) საბაჟო გადასახადისაგან 94 მილ. მან; 6) სახელმწიფო რეგალიებიდან 12.190.000 მან; 7) სხვა წვრილი შემოსავალი 15.000.000 მან; ამ რიგად ერთ სულზე 585 მან. გადასახადი მოდის.

— ფინანსთა სამინისტროში კონსტანტინოპოლში მყოფ ეკონომიურ აგენტიდან მოვიდა ცნობა საქონლის ფასების და ვალიუტის კურსის შესახებ. ფასები უკანასკნელ ხანში არ განიცდიან დიდ ცვლილებებს. საგრძნობლად გაძვირდა ინგლისის ვალიუტა. თანახმად მიღებულ ცნობებისა უცხო ვალიუტის ფასები შემდეგია: გირვანქა სტერლინგი 4 ოსმალ. ლირად და 82 პიასტით ფასობს, ჩეკი 2 პიასტით უფრო ძვირია, 20 ფრანკი ღირს 1 ლირა და 72 პიასტი, შეიცარიის 20 ფრანკი 1 ლირა და 15 პიასტი ბერძნული 20 დრახმა—2 ლირა და 66 პიასტი, იტალიის 20 ლირა—1 ლირა და 66 პიასტი, ამერიკის 1 დოლარი—1 ლირა და 50 პიასტი, რომანოვისა 1000 მან. $8^1/_2$ ლირა, კერენკა—1000 მან.—2 ლიბრა.

სახ. განათ. სამინისტროში

თანახმად სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ბრძანების ალექს. წუწუნავა ნოემბრის პირველიდან ორივე სახელმწიფო თეატრის და დრამის დირექტორად დაინიშნა.

სკოლის გარეშე განათლების მოწყობის მთავარი ინსტრუქტორად დაინიშნა პეტერბურგის ერთ ერთ გიმნაზიის დირექტორი ვ. კანდელაკი. მთავარ ინსტრუქტორს ევალება მოაწყოს სკოლის გარეშე განათლება მთელ რესპუბლიკაში და უხელმძღვანელოს მას.

სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა საშუალო სკოლების დირექტორებს, და აგრეთვე ქალაქსა და ერობის სკოლებს დაუყონებლივ წარმოადგინონ ცნობები მათდამი რწმუნებულ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობის შესახებ.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მორიგ სხდომაზე გაირჩა საკითხი ქალაქებისთვის სახელმწიფო ბანკში კრედიტის გახსნის შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: მიეცეს წინადადება აღმასრულებელ კომიტეტს შევიდეს სახელმწიფო ბანკის საბჭოში და გამგეობაში შუამდგომლობით ქალაქების საჭიროებისათვის კრედიტის გახსნის შესახებ. შემდეგ ნ. ელიავამ გააკეთა მოხსენება მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ დამუშავებულ ქალაქში აგრარულ რეფორმის გატარების პროექტის შესახებ, დადგენილია: 1. ჩამორთმეული ადგილები უნდა გადაეცეს განკარგულებისათვის ქალაქის თვითმართველობებს, 2) იმ მიწების ნორმა, რომელიც მესაკუთრეთა ხელში რჩება, უნდა დაყვანილ იქნეს ისეთ ნორმამდე, როგორც ეს მთავარ კომიტეტის მიერ 1919 წ. მაისის 6 ს გამოტანილ დადგენილებაში არის აღნიშნული.

თავდაცვისათვის.

— ხუთშაბათს, 18 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია რესპუბლიკის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა. ფრონტის კომიტეტის წევრებათ ითვლებიან: ქრისტინე შარაშიძე (დამფუძ. კრების პრეზიდიუმის წევრი), ნიკ. იმხაიშვილი დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრი), ფანცხავა (მუშათა პროფეს. კავშირების წარმომადგენელი), ი. ცინცაძე (სახალხო გვარდიის წარმომადგენელი), ტიტე ართმელაძე (რესპულიკის ჯარის წარმომადგენელი), მ. ლაღიძე (ვაჭარმრეწველთა წარმომადგენელი), მაკ. ჩხენკელისა, ნინო გაბაშვილისა, მარ. რამიშვილისა, სოლ. დოლიძე, ო. გეგეჭკორისა, ანდრონიკაშვილისა, პელ. კიკვაძისა, გრ. ლორთქი-

ფანიძე, ნ. ნო გიორგაძისა, მილ. ბახტაძისა, ელ. მაისურაძისა, ელ. ელიავასი, გიორგი ანდღულაძე, ძიძიშვილისა, კვინიტაძისა, ნ. ანდღულაძისა და სერ. ჟორჟოლიანი (კომიტეტის თავმჯდომარე).

— ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მესდგება ხუთშაბათს 18 ნოემბერს, საღ. სრულ 7 საათზე, ქალ. თვითმმართველობის დარბაზში მოწვეულნი არიან. გარდა უკვე კომიტეტში წარმოდგენილ ორგანიზაციებისა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: პარტიათა, ეროვნულ უმცირესობათა, კოოპერატივთა, რკინის გზის, ეროობის, ქალაქის, ქალაქთა კავშირის, სახალხო უნივერსიტეტის, წითელი ჯვრის. „ჩემო“ ბანკები, ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოებისა, სტუდენტებისა, პრესის, დეპეშათა სააგენტოს, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის, მეღვინეთა, მეცხვარეთა, შრომწავლე ახალგაზრდათა და აგრეთვე კერძო პირები. არავის უწყება არ ეეგზავნება, იმედია, ყველა აღნიშნული ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დაცვის საქმეში სხდომაზე დასწრებით.

ახალი ამბები

✦ მობილიზაციის გამო. იუსტიციის სამინისტროში გამოიცა ბრძანება, რომლის ძალით მობლიზაციით გაწვეულნი მოსამსახურენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გამოცხადნენ სამხედრო აღრიცხვის უფროსთან. გაწვეულთა მოხელეებას მუშაობა დროებით დარჩენილთა შორის უნდა განაწილდეს. უკიდურეს შემთხვევაში განყოფილების უფროსებს ეძლევათ უფლება დროებით მოიწვიონ სამსახურში კერძო პირი, რომელსაც ჯამაგირი გაწვეულთა ჯამაგირის ნაწილისაგან უნდა მიეცეს.

✦ მოხალისე ბათომის ოლქში. ბათომის ოლქის განსაკუთრებული კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ ხანგრძლივი წვიმების გამო ბათომის ოლქში მოსავალი მეტად დაზიანდაო.

✦ საწარმოო დარგების ანგარიში. შრომის სამინისტრომ ტფილისის რაიონის ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოებას მიმართა წინადადებით, ხანმოკლე დროში წარუდგინოს შრომის სამინისტროს სია საზოგადოების წევრთა მათი ბინადრობისა, მუშებისა, მოსამსახურეთა რიცხვისა და წარმოების დარგის აღნიშვნით.

სასურსათო ცხოვრება

ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ სავაჭრო სამრეწველო პალატას აცნობა რომ მის მიერ გამოქვეყნებული ფასები პირველს საჭიროების სხვა და სხვა საქონელზე ხშირად დაწესებულ ნიხრს აღემატებაო. ამის საპასუხოდ სავაჭრო სამრეწველო პალატამ სასურსათო განყოფილებას აცნობა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ფასები ტფილისის ბაზრის ფასებს ეთანხმება. და ამ ფასების გამოქვეყნება სრულიად არ ახდენს გავლენას ფასების მომატებაზე. პალატის მიერ გამოქვეყნებული ფასები პირიქით დიდ დახმარებას უწევს დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომლებსაც ეს ცნობები ესაჭიროება.

ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ მილიციის უფროსს მიმართა განცხადებით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ თანახმად საბჭოს დადგენილებისა, იმ შეშაზე, რომელიც სოფლელებს შემოაქვთ ურმებით არავითარი ნიხრი არ არის დაწესებული. საჭიროა დაუყონებლივ ეცნობოს ეს ყველა კომისარიატებს, რომ აღარ განმეორდეს შემთხვევა ასეთი შეშის განსაზღვრულ ფასში იძულებითი გაყიდვისა, რასაც ამ უკანასკნელ დღეებში ქონდა ადგილი.

ბათომი

ბათომის ოლქის ახალმა განსაკუთრებულმა კომისარმა გრ. გიორგაძემ, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას, შემდეგი ბრძანება გამოაქვეყნა: „ნოემბრის 13, მე შეუდექი ბათომის ოლქისა და ბათომისათვის დანიშნულ სახელმწიფოს განსაკუთრებულ წარმომადგენლად მოვალეობის აღსრულებას. მართველობის სამხედრო ნაწილი ჩემ თანაშემწის გენ. მდივნის გამგებლობაში იმყოფება. მართველობის სამოქალაქო ნაწილის გამგებლობა დროებით ევალება პოლკ. სულაქველიძეს“.

— ნოემბრის 13, ბრძანებით განსაკუთრებულმა კომისარმა სახელმწიფო დაწესებულებების უფროსებს წინადადება მისცა გააკეთონ ვრცელი მოხსენება მათ გამგებლობაში არსებულ საქმეების მდგომარეობის შესახებ. ნავთსადგურის ადმინისტრაციამ ნოემბრის 12 ღამით დააკავა მატროსიანი „სული“ ოსმალეთის დროშით, რომელმაც ნავთსადგური აკრძალულ დროშით დაოვა და ზღვაში გავიდა სათანადო ნებართვის მიუღებლად. გამოძიება სწარმოებს

— ბათომის სოც.-დემ. წევრების საერთო კრებაზე ნ. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრი, როცა რესპუბლიკას საფრთხე მოელოდა ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელი საფრთხე იყო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რესპუბლიკა რევოლიუციონურ ხანას განიცდის, იგი გარდამავალ ხანაში სცხოვრობს და ვიდრე ეს ასე იქნება, შეუძლებელია საშიშროების მოშორებაზე ვიფიქროთ. რევოლიუციონური პერიოდი კიდევ ხანგრძლივი იქნება. საკმაოა გავიხსენოდ, რომ ორი კლასიკური რევოლიუცია ინგლისში და საფრანგეთში არა ნაკლებ ოცი წლისა გრძელდებოდა. თანამედროვე რევოლიუცია უფრო ხანგრძლივი იქნება, ვინაიდან იგი უფრო ცუდ პირობებში ხდება ამ ჟამად თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ძალა უფლება მუშათა კლასის ხელშია, მაგრამ ეკონომიურად ბურჟუაზია ბატონობს. მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობა მანამდის არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ საწარმოო ფორმები არ იქნება შეცვლილი. რევოლიუციის სიხანგრძლივეს ხელს უწყობს აგრეთვე ასპარეზზე აზიის გამოსვლა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობენ რეაქციონური ელემენტები, რაც საქართველოს მძიმე პირობებში აყენებს. ქემალს აქვს უფლება როგორც უნდა ისე მოაწყოს ცხოვრება თავის ქვეყნისა. მაგრამ იგი ცდილობს მთელი მუსულმანების შემოერთებას, ამიტომ საქართველოს მართებს სიფრთხილე და მზათ ყოფნა ყოველგვარ მოვლენისათვის. საქართველო არ წავა ქემალის წინააღმდეგ. იგი მშვიდად უყურებს აგრეთვე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ გამოსვლებს, ვინაიდან მას (საქართველო) ამ ჟამად აყვს არა მარტო ფიზიკური ძალა, არამედ იდეურიც. ეს მისი ბრძოლა არის—ბრძოლა უკეთეს მერმისათვის—სოციალიზმისათვის.

გურიის ერობაში.

სასურსათო ბელღების დაარსება.

თემებში სასურსათო ბელღების დაარსების შესახებ ერობის გამგეობამ მიიღო საერობო ყრილობისთვის წარსადგენათ შემდეგი პროექტი:

1) ყველა თემებში დაწესდეს საზოგადო სიმინდის ბელელი.

2) ბელელი უნდა იმყოფებოდეს თემის გამგეობის ხელმძღვანელობაში.

3) ბელელი ჩაბარებული უნდა ჰქონდეს თემის გამგეობის რომელიმე წევრს (რომელიც პირადათ პასუხისმგებელია სამაზრო გამგეობის წინაშე).

4) ბელღიდან სიმინდის გაცემა შესაძლებელია თემის გამგეობის მიერ სამაზრო გამგეობის დასტურის შემდეგ.

5) ბელელი მუდმივი სასურსათო ფონდია და არავითარ შემთხვევაში ბელღის სიმინდის გაყიდვა დასაშვები არ არის.

6) ბელღის სიმინდი გაიცემა მხოლოდ სესხათ მაზრის დამშეულ ოჯახებზე.

7) სესხათ მიღებული სიმინდი უნდა უკლებლივ დაუბრუნდეს ბელელს, არა უგვიანეს შემდეგი წლის 15 გიორგობისთვისა.

8) ბელღის სიმდიდრის რაოდენობა შემდეგ ნაირად განისაზღვროს: პირველი კატეგორიის იხდის ორ ფუთიან სამ გოდორს, მე-2 კატ. ორ გოდორს მე-3 კატ. ერთ გოდორს და 4 კატეგორიის სრულებით განთავისუფლებულ იქნას.

9) შესატანი სიმინდის თეშის საბჭოს მიერ გაწერილი უნდა იქნეს კომლებზე. რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახის მუშა ხელის რაოდენობა და სიმინდის შემოსავალი.

10) ბელღის აშენება და მისი შენახვა ხდება თემის ხარჯზე.

11) სიმინდის გაწერა თემის საბჭოს მიერ უნდა მოხდეს, არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

12) სიმინდის გადახდა არ უნდა გადასცილდეს 1 იანვარს 1921 წ.

13) სიმინდის აკრება ხდება თემის გამგეობის საშუალებით.

14) ბელღის ზედამხედველის განთავისუფლება მოვალეობიდან შესაძლებელია, მხოლოდ სამაზრო ერობის გამგეობასთან შეთანხმებით.

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში სამსახურიდან დაითხოვა და პასუხის გებაში მისცა სავაჭრ. სამრეწ. განყ. რწმუნებული სიმ. ურუშაძე იმის გამო, რომ მან გამგეობის ნებადაურთველათ გაიტანა საწყობიდან 63 ფ. სიმინდი და მიითვისა საერობო მაგიდა.

— გამგეობამ კვლავ გაადიდა ნიხრი ნატანებ-ოზურგეთს შუა ურმით ტვირთის გადაზიდვაზე და დააწესა ნაცვლად 35—40 მ. 70 მან. ფუთზე. ამასთანავე გადასწყვიტა ნიხრის შემდეგი გადიდება მოხდეს სატარიფო პალატის დადგენილებით.

— გამგეობის დადგენილებით თითო ახალი კომპლექტი დაემატა 1 ნოემბრიდან შემდეგ სკოლებს: ქვაბლის, ბურნათის, მეწიეთის, ბუქსიეთის, შუა-სურეშის, თხილაგანის, ქვედა-ბახვის, ლიხაურის, ჯურუყვეთის, აჭის, ხვარბეთის, ამაღლებისა და ჭყონაგვარის.

— გამგეობის მიერ უკვე დამტკიცდა მაზრაში საკვირაო სკოლების ორგანიზაციის პროექტი და ამისათვის საჭირო კრედიტი გამოეთხოვა მთავრობას.

— ხიდისთავის ფომ დაწყ. სასწავლებელში დაარსდა მე-4 კლასის პარალელური კლასი, რომლის შესანახი კრედიტი გამოეთხოვა განათლების სამინისტროს.

— სუფსის საექიმო პუნქტზე, რომელიც დღემდე არ მოქმედებდა უექიმობის გამო, უკვე დაინიშნა ექიმი და ბებია ქალი, რომელთაც დაევალა კვირაში 2 ხელ მიიღოს ავადმყოფები ჩოჩხათის თემშიაც.

— ერობის გამგეობამ დროებით მთავრობასთან ძაფის ჩაბარების პირობების გამორკვევამდე, შეაჩერა აბრეშუმის ამომხვევი ქარხნის მოქმედება; მუშაობა განახლდება მაშინვე, როცა კი გამოირკვევა ეს პირობები და უკვე დამზადებულ 30 ფ-დე ძაფის ბედი გადასწყდება

ხ—ან.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 17 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

((სხდომის გახსნა—დილის 10 საათზე)

1. საქმე გიორგი ვასაძის დიმიტრი ნაკაშიძესთან მამულის თაობაზე.

2. საქმე ნესტორ ნარსიას დავით ქიტიაშვილთან ფულების თაობაზე:

3. საქმე ლუკა, მოსე და ნიტიფო ფირცხალაშვილების გრამიტონ ებრალიძესთან ფულების თაობაზე.

4. საქმე ივანე ბურჯანიას ხაქარია ოგანეზოვთან ფულების თაობაზე.

5. საქმე ვანო ნიკოლაიშვილის სოლომონ, მიხა და გიო ნიკოლაშვილთან მამულის თაობაზე.

6. საქმე ალექსანდრე მარგველაშვილის ნიკიტა კარაპეტოვთან სახლის დაცლის თაობაზე.

7. საქმე ალექსანდრე გარგველაშვილის ამბარცუმ კარაპეტოვთან ბინის თაობაზე.

8. საქმე ნინო ფალავას თამარ მაყაშვილთან ფულების თაობაზე.

9. საქმე გარდაცვალებულ მიხეილ ანდღულაძის ქონების და ობლების მოურავის ამბაკო ანდღულაძის და ფილიპე ანდღულაძის ერმილე ანდღულაძესთან ადგილის დაცლის თაობაზე.

10. საქმე ქალ. სილნაღის თვითმართველობის სიმონა გოგინაშვილთან მამულის თაობაზე.

რკინის გზაზე

სურსათ-სანოვაგის მიწოდება რკინის გზელთათვის.

რკინის გზელთა კავშირის სასურსათო კომიტეტი შეუდგა რკინის გზის მეშებზე და მოსამსახურეებზე სულზე 3 ფუთი კომბოსტოს (1 ფუთი 200 მან.) 2 ფუთი კართოფილი (1 ფუთი 800 მან.) და სტაფილოს დარიგებას.

— სასურსათო კომიტეტი შეშის დამზადებას შეუდგა. ამასთანავე იგი ნახშირის დამზადებასაც შეუდგა.

— რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა იპანეთის ფირმისათვის ხე-ტყის მასალის დამზადებას შეუდგა. სასურსათო კომიტეტმა მოსამსახურეთათვის საჭირო მანუფაქტურა და ფეხსაცმელები ამ ფირმისაგან შეისყიდა.

ეროვნების ცხოვრება

გურია.

სამი თვე სრულდება, რაც გურიაში გამუდმებით სწვიმს, რამაც ძლიერ ცუდი გავლენა იქონია ჭირნახულის შენახვაზე; მცხოვრებლები იძულებულნი შეიქნენ ემუშავათ საშინელ წვიმებიან დარებში, ბევრგან სიმინდი წყალმა წაიღო; ჩალა და ლობიო ერთავად დალპა. იყო შემთხვევები—ტბებში მუშა-პირუტყვის დახრჩობისა, ყურძენი მთლად დალპა წვიმებმა და ქარმაც დააზიანა. მოსავალს წელს ძლიერ დიდს მოელოდენ, მაგრამ ბუნების ასეთმა სიმკაცრემ გაგვიცრუა იმედი.

— ოზურგეთში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი გვარდიელ-ჯარისკაცთა უნივერსიტეტის შენობაში, სადაც სისტემატიურად ხდება ლექციების კითხვა; კითხულობენ ადგილობრივი მოწინავე ძალები ქართული ძველი და ახალი ლიტერატურიდან, მსოფლიო და საქართველოს ისტორიიდან, ბუნების მეტყველებიდან, პოლიტიკურ ეკონომიიდან და სხვა, მსმენელები ბევრია.

— ამას წინაზე არჩეული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ეტყობა ენერგიულად შეუდგა მუშაობას. გამგეობამ მოიწვია რეჟისორათ მსახიობი ქვიციე და აგრეთვე სამუშაოთ მსახიობი ქალი აბაზაძე. სეზონი გაიხსნა შაბათს 6, ნოემბერს, ცაგარელის ცნობილ პიესით „ხანუმა“-თი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო საგანგებოდ მოწვეულმა დამსახურებულმა მსახიობმა ელენე ჩერქეზიშვილმა. მეორე დღეს წარმოდგენილი იქნა „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“ და „დედის ერთა“. ორთავე წარმოდგენა შესანიშნავად ჩატარდა; ალაფრთოვანა ქ ნ ჩერქეზიშვილის თამაშმა; აღგილობრივი სცენის მოყვარენიც, რომელთაგანიც ბევრი პასუხისაგებლო როლებში გამოვიდენ, ანსაბლს ჩინებულად უწყობდენ ხელს: მიუხედავად ცუდი ამინდისა, წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სისტემატიური ხასიათი მისცეს წარმოდგენის მართვას. ამ მიზნით მან ქალაქის გამგეობიდან აიღო თეატრი და შეუდგა მის შეკეთებას, რაც 300,000 მან. უჯდება.

— ამ დღეებში მ. ს—ლის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ოზურგეთის რაიონის კოოპერატივების რწმუნებულთა, რომელმაც ნება მისცა გამგეობას აიღოს სესხათ ათი მილიონი მან. აგრეთვე დაუდასტურა საკუთარი შენობის შეძენა და აირჩია დელეგატები საქართველოს კოოპერატიულ ყრილობაზე დასასწრებლად. გაირჩა სხვა წვრილმანი საკითხებიც.

— ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეთა კავშირი გამოეყო დანარჩენ (საერობო, საქალაქო და კერძო) მუშა მოსამსახურეთ და ცალკე დაიარსეს თავისი კოოპერატივი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. განყოფილების სახით. მიუხედავად ამისა, ოომ მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ ამის საწინააღმდეგო დადგენილება მიიღო წინასწარ, მათ ეს მაინც ჰქნეს. სცდილობენ ნუშათა მაგიდიდან თავიანთი ხვედრიც სხვებთან დამოუკიდებლად მიიღონ. მათი ასეთი მოქმედება დაგმო ყველა ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, რადგან ასეთ მოქმედებას შეაქვს განხეთქილება მთლიან მუშა-მოსამსახურეთა წრეში და კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა შეაქვს ისედაც აფორიაქებულ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაში.

— ამ დღეებში სამაზრო მილიციამ დაატყვევა ნექტ. ჯაველიძე, რომელსაც ექიმის მკვლელობის გამო კატორღა აქვს მისჯილი და რომელიც ქუთაისის ციხიდან გაიქცა. ჯაველიძე ზის ოზურგეთის საპყრობილეში.

ხუსეინ.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 10 ნოემბერს,

ტფილისიდან—კუდანოვს; ცხინვალიდან—მებურნეთოვს; ენისელიდან—ზორაშვილს; ბორჯომიდან—დავრაშვილს; სუხუმიდან—ალავერდოვს; ბათუმიდან—ლორიას; ჯელალოღლიდან—ტერგრიგორიანს; ხობიდ ნ—ჩხეიძეს; ყაზბეგიდან—ვარდოშვილს; ტფილისიდან—ცატუროვს; ახალსენაკიდან—ჩიგოგიძეს; წნორიდან—ხიფლაკიშვილს; ბათუმიდან—კახიანს; სუხუმიდან—ნადარეიშვილს; სანაინიდან—ტეროსიპიანს; სუხუმიდან—ხემლაძეს; შულავრიდან—ნადიროვს.

ნამდვილზე აწერია.
„ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვ ჭ-ობა-მოეწველობის მინისტრის მოვალე ბის აღმასრულებელი“
ს. ავალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა.

IV. აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 64. საზოგადო კრების მოწოდებისათვის განცხადებანი წინ და წინვე უნდა დაიბეჭდოს; ყოველ შემთხვევაში, ოცდა ერთი დღით მაინც ადრე საზოგადო კრებამდე ერთ ერთ მთავრობის ბეჭდვითი ორგანოში. განცხადებაში ნამდვილათ უნდა იყოს აღნიშნული: ა) დღე და საათი საზოგადო კრებისა, ბ) ბინა, საცა უნდა სწარმოებდეს კრება და გ) დაწვრილებითი შედგენილი სია იმ საქმეთა, რომელთა განსჯა და გადაწყვეტა კრებას ევალება.

გამგეობის მოხსენებანი განსახილველ საგანთა შესახებ საკმაოდ უნდა იყოს დამზადებული და აქციონერთ შეძლება უნდა მიეცეს შვიდი დღით ადრე მაინც გაიცან ეგ მოხსენებანი, ვიდრე კრება დაიწყებოდეს.

§ 65. სახელობითი აქციების პატრონები, გარდა განცხადებისა, უნდა მოწვეულ იქმნან კრებაზე უწყებითაც, რომელიც ეგზავნება მათ განსაზღვრულ დროს (§ 64) ფოსტით დაზღვეული წესით და იმ ადრესით, რომელიც გამგეობას უნდა ქონდეს ჩაწერილი თავის დავთრებში აქციონერთა ჩვენებით.

§ 66. რომ საზოგადო კრება კანონიერი იყოს საჭიროა დაესწრენ აქციონერები ან მათი რწმუნებულნი, ერთად წარმომადგენელნი ძირითადი თანხის არა ნაკლებ ერთი მეხუთედისა, ხოლო გარდასაწყვეტად, იმისა გადიდებულ თუ შემცირებულ იქნას ძირითადი თანხა, შეიცვალოს თუ არა წესდება და მოხდეს თუ არა ბანკის საქმეთა ლიკვიდაცია, როცა ამისათვის სავალდებულო მიზეზი არ არის, საჭიროა დაესწრენ აქციონერები, რომელნიც წარმოადგენენ ძირითადი თანხის არა ხაკლებ ნახევრისას.

§ 67. თუ კრება არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ აქციების რაოდენობის მიხედვით ზემოთ აღნიშნულ პირობას ან საქმეთა გადაწყვეტის დროს საზოგადო კრებაზე არ აღმოჩნდება წესდებით საჭირო ხმათა უმრავლესობა, მაშინ ოთხი დღის შემდეგ, არა უგვიანეს, უნდა მოწოდებულ იქმნას საზოგადო კრება ხელმეორედ ყველა იმ წესის დაცვით, რაც წესდებაშია ამ საგნის შესახებ. მეორე კრება 14 დღეზე ადრე არ უნდა დაინიშნოს დღიდან განცხადებისა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, ხოლო გადაწყვეტილება მისი საბოლოოდ, მიუხედავად იმისა თუ რამდენი აქცია იყო წარმოდგენილი დამსწრე აქციონერთაგან. ეს გარემოება გმგეობამ წინდაწინვე უნდა აუწყოს აქციონერებს, როცა მოუწოდებს კრებაზე. ამასთან ხელმეორე კრებაზე უნდა განხილულ იქმნას ის საგნები, რომელიც პირველ კრებაზე უნდა განხილულიყო ანუ განუხილველი დარჩა იმ კრებას, ეგ საქმენი უნდა გადაწყდეს უბრალო ხმის უმრავლესობით. დადგენილებანი, შეწყნარებულნი საზოგადო კრების მიერ, სავალდებულოა ყველა აქციონერთათვის, როგორც კრებაზე დამსწრეთა, ისევე არა დამსწრეთათვის.

შენიშვნა. იმ აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, ნება აქვს თავისი ცალკე აზრი წარადგინოს, რომელიც ჩართულ უნდა იქმნას საზოგადო კრების ოქმში. ასეთი ცალკე აზრის პატრონს ნება აქვს, შვიდი დღის შემდეგ, დღიდან კრებისა, თავისი ცალკე აზრი დაწვრილებით აღნიშნოს და წარადგინოს, რათა დაერთოს კრების ოქმსა.

§ 68. საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს ერთ ერთი აქციონერი, რომელსაც ყოველთვის ცალკე ირჩევს კრება. კრების დაწყებისთანავე, ვიდრე სხვა საქმეს შეუდგებოდეს. ამ არჩევამდე საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი მოადგილე. საზოგადო კრების თავმჯდომარე არ შეიძლება ეკუთვნოდეს გამგეობის, საბჭოს თუ სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

§ 69. რათა კანონიერი იყოს დადგენილებანი კრებისა, საჭიროა რომ იგი დადგენილებანი შეწყნარებულ იყოს ხმის უბრალო უმეტესობით, მხოლოდ გადაწყვეტილებანი იმ საქმეთა შესახებ, რომელიც მოხსენებულია მუხ. ე, ვ და ზ § 71 უნდა მიღებულ იქნას დამსწრეთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით.

განცხადებანი

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ძლიობას ახვეროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3671 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 5895 გერანახ ალექსანდრეს ძე განოონის სახელზე, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრისაგან 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3663 3—2

დაიკარგა ქართული სავაჭრო ბანკის (ქ. ფოთში) კვიტანცია № 363, რომლის ქვეშ დასახელებული ბანკში ინახებოდა 80.000 მ. ღირებული ნ. დ. ცინცაძის კუთვნილი „ოქროს ვერძის“ აქციები, აგრეთვე ცენტრობანკის კვიტანცია, ამა წლის მაისში გამოცემული, რომლის ქვეშაც ინახებოდა ქ. ტფილისში, ცენტრობანკში, კ. დ. ცინცაძის კუთვნილი, იმავე საზოგადოების, „ოქროს ვერძის“ 68 აქცია, 158.000 მან. ღირებული, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3618 3—3

დაიკარგა პასპორტი ელენეწმუშეგის ასული ანანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3646 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალ ქალაქის თემიდან, ს. დემოკ. პარტიის წევრობის ბარათი სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული, გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა სარქის სტეფანეს ძე ასლამაზოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3641 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 217 ვლადიმერ პავლეს ძე ჯაველიძის სახელზე, მიღებული ბახვის საერობო თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3635 3—3

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონებს ბაგრატ და ალექსანდრე აროუთინოვებს დაუკარგავთ ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3625 3—3

დაიკარგა მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ № 171 მიტროფანე სპირიდონის ძე დევდარიანის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციონერთა კავშირიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3687 3—2

დაიკარგა პასპორტი რაშიდ ალი მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3690 3—2

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1882 წ. რეესტრით № 1906 და 1902 წ. რეესტრით № 1144 და ოთხი სიმტკიცის მოწმობა აღნიშნულნი: 1895 № 2341; 1913 წ. № 1358; 1902 წ. № 337 და 1915 წ. № 2521 ეკატერინე მიხეილის ასული ნადიროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3673 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზნაკვის საზოგადოებიდან (სენაკის მაზრა) და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან პარმენ ხოსიას ძე მიქიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3678 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3273, შალომ დავითის ძე მუნდიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1908 წ. და სარეგისტრაციო ბარათი გაუქმებულად ჩაითვალოს. 3684 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ლუკიანის ასული ტატოსოვის (იგივე ტადეოსვიანის) სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1047—1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3686 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკა პარმენ ანტონის ძე ისაკაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3703 3—1

დაიკარგა პასპორტი № 337 ტატო იობის ძე ოთარაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3704 3—1

დაიკარგა პასპორტი № 546 გიორგი კონსტანტინეს ძე გრიგორიადის სახელზე, მიღებული ესპანეთის საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3611 3—1

დაიკარგა პასპორტი № 824 ლავრენტი ოსიკას ძე მელქაძის სახელზე, მიღებული კულაშის თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3712 3—1

ქუთაისის ქალაქის სამმართველო თანახმად მათე დავითის ძე უგლავას განცხადების, რომელსაც დაუკარგავს ნასყიდობის სიგელი ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისა 19 აგვისტოდან 1902 წლ. რომლის ძალით მას ქონია შეძენილი სიმონ როსტომის ძე ქავთარაძისაგან უძრავი მამული, მდებარე ქალაქ ქუთაისშიდ, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3719 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად პავლე ივანეს ძე ჯღარკავას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პირადობის მოწმობა მიცემული სენაკის მაზრის უფროსისაგან, ორი ცხენის ნასყიდობა და ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან მიცემული წყლის ზიდვის მოწმობა № 8, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულმდ ჩაითვალოს. 3719 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელის მთავარი ამონაწერი ელისაბედ აკოფოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1901 წ. რეესტრით № 161. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3658 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ჟუკოვსკის ქ. № 17 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დანელიანცს გაუქმებულად ჩაითვალოს. 3659 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1390 ნიკოლოზ იოანეს ძე ბერიშვილის სახელზე, მიღებული საქართ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოდან 1919 წ. და სხვა საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3664 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი ნინო ივანეს ასული როსტაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3666 3—2

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 292, გრიგოლ არიუტინის ძე მირმანიანის სახელზე, მიღებული მე-4 იმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3668 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი № 2825 სტ. გიორგი ელიარიძეს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3631 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 323, პავლე მანსვეტაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3632 3—3

დაიკარგა ფერშლის მოწმობა, მიღებული ბრესტ-ლიტოვსკის სამხედრო ჰოსპიტალიდან, პასპორტი, მიღებული გორის ქალაქის გამგეობიდან, მეტრიკა და პირადობის მოწმობა ივანე ნიკოლოზის ძე ალიკაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3661 3—2

დაიკარგა პასპორტი № 675 ანა კარპის სული ჯავახოვის სახელზე, მიღებული ქ. ახალციხის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3657 3—2

დაიკარგა მოწმობა № 600, მიღებული ჩიბათის თემის გამგეობიდან და სამსახურის ნუსხა, მიღებული ოზურგეთის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. მოსე როსტომის ძე ჯორბენაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3713 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების ნუსხა ტერენტი ნიკას ძე მახათაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3714 3—1

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ ფილიპეს ძე კლანიას სახელზე, მიღებული კვათანის ეროობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3715 3—1

დაიკარგა ტფ. სასულიერო სასწავლებლის ხუთი კლასის დამთავრების მოწმობა, ნიკოლოზ გიორგის ძე გახარიას სახელზე, მიღებული 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3716 3—1

დაიკარგა პასპორტი № 315 ისმაილ მეხუთი ოღლის სახელზე, კრახსეიმანის სოფ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3693 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოგოს რაფიელის ძე ნიკოგოსოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3694 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პარმენ ანტონის ძე ისაკაძის სახელზე, მიღებული მუხლის (რაჭის მაზრა) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3696 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით ადამის ძე დოდაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. უფროს ნოტარიუსის მიერ 1890 წ. რეესტრით № 484. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3697 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სიმონ ივანეს ძე პშენიჩნის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის მილიციის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3698 3—1

დაიკარგა პასპორტი № 9396 ალექსანდრე ანრიას ძე ნიკოლაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1911 წელში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3699 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი გიორგი ალექსის ძე ხელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3701 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი იზმაილის ბანდი № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დ. ჩივაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4702 3—1

დაიკარგა პასპორტი ჩოხატაურის თემიდან მიღებული და ნუსხა მიღებული ოზურგეთის სამხედრო უფროსისაგან ლევანტი ლუკას ძე სიმონიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3705 3—1

დაიკარგა სალდათობის მოწმობა ნიკოლოზ სირბილაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3717 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1738 ბორის კოსტანტინეს ძე ზიროვის სახელზე, მიღებული ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3718 1—1

ვთხოვ

ვინც კი რაიმე იცის ზაქარია (შაქრო) მოსეს ძე ხუნდაძეს შესახებ მაცნობოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, პეტროგრადის ქუჩა სახლი № 2, ბინა ჯიბლაძისა, ბარბარე ხუნდაძისას. 3709 1—1

დავით გლახუნის ძე (დათიკო) პატიეიშვილი

სწავლობდა ქ. ოდესაში უმაღ. სამეურნეო ინსტიტუტში; გასული წლის სექტემბრიდან მისი არაფერი ვიცით, თუ ვინმემ მის შესახებ რაიმე იცის უმორჩილესათ ვსთხოვ კეთილი ინებოს და მაცნობოს დაჩქარებით შემდეგი მისამართით: ოზურგეთის მაზრა ძიმითის თემი ერმილე პატიეიშვილს.

3700 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გიორგოლ ბაქრაძიანი.